(1996)

ევროპარლამენტის **<u>რეზოლუცია</u>**

ევროპარლამენტი,

ითვალისწინებს რა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელმოწერილ შეთანხმებას პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, ითვალისწინებს რა ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ 1994 წლის 4 აპრილს ხელმოწერილ ორმხრივ ხელშეკრულებას, აგრეთვე, იმავდროულად ხელმოწერილ დეკლარაციას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საშუალებათა შესახებ,

ა) ხაზს უსვამს რა იმ ფაქტს, რომ სტაბილურობა და უსაფრთხოება წარმოადგენს ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში აუცილებელი დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების პროცესების გაგრძელების წინაპირობას,

ბ) რადგანაც საქართველო მნიშვნელოვნად დაზარალდა რამდენიმე წლის მანძილზე მიმდინარე სამოქალაქო ომისა და ეთნიკური კონფლიქტების შედეგად, კერძოდ, აფხაზეთის რეგიონში, რამაც აიძულა მრავალი ათასი ლტოლვილი, დაეტოვებინათ თავიანთი სახლ-კარი ეთნიკური წმენდის გამო,

გ) ღრმა შეშფოთებით აღნიშნავს რა იმ გარემოებას, რომ დღიდან ცეცხლის შეწყვეტისა და ძალების დაშორიშორების შესახებ შეთანხმების ხელმოწერისა, 1994 წლის 14 მაისს, არ არის მიღწეული შესამჩნევი წინსვლა აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების საქმეში, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის ჩათვლით,

დ) რადგანაც ამ რეგიონში კონფლიქტის საბოლოო მოგვარება უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში.

ე) გამოხატავს რა ღრმა შეშფოთებას აფხაზეთიდან დიდი რაოდენობით ლტოლვილთა გამო, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ საქართველოში, აგრეთვე იმის გამო, რომ აფხაზეთის რეგიონში კვლავ გრძელდება ეთნიკური წმენდის პროცესი.

ვ) რადგანაც დაძაბულობის ესკალაციას ხელს უწყობს ტერიტორიის დანაღმვა და სხვა საფრთხეები, მიმართული გაეროს დამკვირვებელთა მისიისა და დსთ-ს სამშვიდობო ძალების წინააღმდეგ, რაზეც საუბარია გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებაში.

ზ) გამოხატავს რა ღრმა შეშფოთებას აფხაზეთის მხარის გადაწყვეტილების გამო, 1996 წლის 23 ნოემბერს ეგრეთწოდებული საპარლამენტო არჩევნების ჩატარების თაობაზე, რომელშიც მონაწილეობის შესაძლებლობა არ ექნებათ ლტოლვილებსა და გადაადგილებულ პირებს.

1. კვლავ ადასტურებს სრულიად დაუჭიროს მხარი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მშვიდობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებას, როგორც დემოკრატიულ და ეკონომიკურ რეფორმათა პროცესის აუცილებელ წინაპირობას;

2. ხაზს უსვამს, რომ აფხაზეთში კონფლიქტის საბოლოო მშვიდობიანი მოგვარება უნდა დაეფუძნოს ყოვლისმომცველ პოლიტიკურ მოწესრიგებას და ითვალისწინებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორული მთლიანობის პატივისცემას საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში;

3. ხაზს უსვამს, რომ აფხაზეთში არჩევნების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოგვარების კონტექსტში მოლაპარაკების გზით, აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის შემდეგ და ყველა ლტოლვილის და გადაადგილებული პირის არჩევნებში სრული მონაწილეობის გარანტირების შემთხვევაში.

4. მოუწოდებს აფხაზეთის მხარეს, უარი თქვას 1996 წლის 23 ნოემბრისათვის დაგეგმილი ეგრეთ წოდებული საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაზე;

5. ხაზს უსვამს, რომ ყველა გადაადგილებულ პირსა და ლტოლვილს აქვს უფლება, სურვილის შემთხვევაში და სრული უსაფრთხოების პირობებში, ღირსეულად დაუბრუნდეს თავისი წარმოშობისა თუ საცხოვრებელ ადგილს, განურჩევლად თავისი ეთნიკური, სოციალური თუ პოლიტიკური კუთვნილებისა, და გამოთქვამს შეშფოთებას, რომ გრძელდება ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა აღნიშნული უფლების ხელყოფა;

6. გმობს ყველა ქმედებას, მათ შორის დანაღმვას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოში გა-ერო-ს სამხედრო მეთვალყურეთა მისიასა და დსთ-ს ძალებს და მოუწოდებს ყველა მხარეს, გადადგას აუცილებელი ნაბიჯები ასეთ ქმედებათა აღსაკვეთად;

7. მოუწოდებს (ევროკავშირის; მთ.) საბჭოსა და კომისიას, აქტიურად დაუჭირონ მხარი აფხა-ზეთში გაეროს მისიის საქმიანობას და მასთან თანამშრომლობით განახორციელონ ურთიერთნდობის განმამტკიცებელი ზომები საქართველოს ქართველ და აფხაზ მოქალაქეთა შორის;

8. მოუწოდებს (ევროკავშირის; მთ.) საბჭოსა და კომისიას, გააფართოვონ რეგიონში "ტასისისა~ და "ექო-ს~ პროგრამები, განსაკუთრებით კი განამტკიცონ "ტასისისა~ და "ექო-ს~ შორის თანამშრომ-ლობა, რათა გაიდოს ხიდი მოკლევადიანი ჰუმანიტარული დახმარებიდან გრძელვადიან სტაბილურ განვითარებამდე.

9. ავალებს თავმჯდომარეს, რომ ეს რეზოლუცია მიაწოდოს კომისიას, საბჭოს, საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს, აფხაზეთის მხარეს.

1996 წლის 14 ნოემბერი.

(www.un.org პარლამენტის უწყებანი. საქართველოს პარლამენტის ყოველკვირეული ჟურნალი, 1996, # 29-30, გვ. 28-30)